ცნობის ფურცელი

№ 1809 ოთხშაბათი, 15 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1809

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". **ტელეფონი № 372**

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი"
სურათებიანი დამატებით

1-ლ მაისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან. და 50 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—24)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ **ხორცით სავაჭრო საქალაქო დუქანი** გაიხსნება ხვალ, 16 მაისს. ხორცის გაყიდვა დაიწყება ხოლმე დილის 6 საათიდან; გაიყიდება დაწესებულის ნიხრით ხარისხ-ხარისხად; თითოეულ მყიდველს ერთ ფუთზე მეტი ხორცი არ მიეყიდება; ხოლო ვისაც ფუთზე მეტის ყიდვა უნდა, ის წინდაწინვე უნდა შეუთანხმდეს საქალაქო დუქნის გამგეს.

დუქანი მოთავსებულია ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში, პუშკინის სკვერის პირდაპირ. (ნ. 1—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა
დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ხტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვინაძეებისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომი
(მიხეილის პროსპექტი)
ხუთშაბათს, 16 მაისს 1902 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოთ გამართული იქნება

სეირნობა, სიმფონიური კონცერტი და ცეკვა.

სიმფონიური ორკესტრი შესდგება 40 კაცისაგან, ლოტბარათ იქმნება ბ. **მ. ვ. ხურშუდოვი.**

კონცერტში მონაწილეობას იღებს ტფილისის მუსიკალურ სასწავლებლის მასწავლებელი **ბ. ლ. ა. მაქსიმოვი.**

ორკესტრი შეასრულებს საუკეთესო სიმფონიურ ნაწარმოებს მენდელსონისა, ვებერისა, გრიგისა, მასსენესი, ბერლიოზისა, სენსანსისა და სხვ.

ბაღში დაუკრავს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სამხედრო მუსიკა (хоръ трубачей) საზანდარი და დუდუკი.

კონცერტის შემდეგ ცეკვა.

შესავალი ფასი 2 მან. 10 კაპ.

საღამოს დიასახლისი ბრძანდება **უგანათლებულესი კნ. თ. დ. გრუზინსკისა.**

სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათზე, კონცერტი-კი—9-ზე. (4—3)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 19 დღესა, დილის ათ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა იმ ანგარიშის შესახებ; 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის; 4) კერძო მოხსენებანი; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ. ი. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება, და 6) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე; მიიღებს აგრეთვე საქმეთ: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი
იყიდება გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ს პ. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში, შერემეტიევის ქუჩაზე, ნურიის ბაზარში, სასწორის პირდაპირ. (0—19)

ჩვენებური კამათი

არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი იმაზე, რომ განსაკუთრებული თვისება ქართველ ცრუ-ლიტერატორისა არ-შეწყნარება, გადაქარბებული ფუქსავატობა, თავმოყვარეობა და სრული უპრინციპობაა. არა ერთხელ აღგვინიშნავს ის სამწუხარო მოვლენა, რომ ქართველ ცრუ ლიტერატორის ღვარძლიანი გული ბოროტებით და მძულვარებით არის ალსავსე. ქართველ ლიტერატორის ამგვარმა ფსიხიურმა თვისებამ განსაკუთრებული ხასიათი და ელფერი დაადო ჩვენს ყოველდღიურ ჟურნალ-გაზეთობას. ამ ლიტერატურაში და ჟურნალ-გაზეთობაში ყოველი აზრი, ყოველი პრინციპი, ყოველი წმინდა გრძნობა და გულწრფელი მისწრაფება გაქელილი და წაბილწულია. ვერაფერს ვერ იტყვით ისე, რომ სხვამ თქვენს გულში არ ჩაიხედოს, არ აღმოაჩინოს ამ გულში ყოველი სიბინძურე, არ ჩაჰქოლოს და არ დაჰგმოს თქვენი წმინდათა-წმინდა. პირადად დაბეჩავებულნი, ყოველ ღირსება ახდილნი, ჩვენ ვცდილობთ სხვაც დავაბეჩავოთ, დავამციროთ, სხვასაც ავხადოთ ყოველი ღირსება და ნამუსი. ჩვენი მკითხველი-კი, საბრალო მკითხველი, გაშტერებული და დაღონებული ყურს უგდებს საზიზღარ ლანძღვა-გინებას, თვალს ადევნებს ლიტერატორთა ბინძურ ორგიას და გაკვირვებული ეკითხება თავის თავს, რა უფლებით, რა ზნეობის კანონის ძალით სამწერლო წრეში იმგვარი პირები შესულან, რომელთაც არაფრით არ დაუმსახურებიათ საზოგადოების ნდობა და რომელთაც მწერლობა სამასხარო მოედნად გადაუქცევიათ.

ამ სამწუხარო მოვლენის დასაბუთება ძნელი არ არის ყველასთვის, ვინც კი თვალყურს ადევნებს ჩვენებურ მჯღაბნელთა კინკლაობას. ხოლო ერთ თვალსაჩინო ნიმუშს სალიტერატურო ზნეობა დაცემისას მკითხველი წარსულ კვირის „ივერია"-შიაც იპოვნის.

ამას წინად ჩვენ აღვნიშნეთ სომხების გაშავების უსამართლობა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე და, სხვათა შორის, ვსთქვით, რომ რუს-ქართველების დაკავშირება სომხების წინააღმდეგ არავითარ მოსაზრებით არ გამართლდება. სტუდენტთა დახმარების საქმის მოწყობაში ყველა ერთა წარმომადგენლებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ. ამასთან ჩვენ არ მოვიწონეთ ამ კითხვის შესახებ გამოთქმული „ივერიის" მოსაზრებანი.

„ივერია" ძლიერ გაუჯავრებია ჩვენ ნათქვამს. გაზეთი თავის ჩვენდამი გულის წყრომას შემდეგის სიტყვებით აუწყებს მკითხველებს: „ვიცით, ვაჟბატონებო, მიზეზი თქვენის სიფიცხისა და მღელვარებისა ამ არჩევნების გამო. ვიცით ისიც, რომ „ცნობ. ფურცლის" ორს დედა-ბოძს(!), რომელნიც სცდილობდნენ (?!) სტუდ. დამხმარებელ საზ. გამგეობაში მოჰყოლოდნენ, ამომრჩევლებმა ღიმილით და თავის ქნევით სკამი გამოაცალეს... პანღურ-ნაკრავებმა, იმ დღიდან ასტეხეს ერთი ზარი და ზეიმი, ქვეყანა იღუპება, სომხები გააშავესო".

ამგვარად, „ივერიის" აზრით, ჩვენ იმიტომ ამოვიღეთ ხმა რუს—ქართველთა უაზრო დაკავშირების გამო, რომ ვცდილობდით გამგეობაში შესვლას, ხოლო ამომრჩევლებმა „პანღური ამოგვკრეს".

„ივერიას" ვერ წარმოუდგენია კითხვის სხვა ნაირი განმარტება. არ გვეთანხმებით, იმიტომ რომ გულ ნატკენი ხართ, „სკამი გამოგაცალესო". ასე სჯის „ივერია".

ჩვენ ვთხოვთ „ივერიას" დაგვიმტკიცოს: პირველი, რომ ჩვენ გამგეობაში შესვლის სურვილი გვქონდა, მეორე, რომ ჩვენი სურვილი შეწყნარებული არ იქმნა და პანღურით გამოგვაგდეს. ხსენებულ კრებაზედ „ცნ. ფურცლის" რედაქციისაგან ორი კაცი იყო. რედაქტორი ალ. ჯაბადარი, რომელიც, შეიტანა რა საწევრო ფული,—ხუთი წამის შემდეგ შინ გაბრუნდა, და გ. ლასხიშვილი, რომელმაც გამგეობის წევრობაზედ უარი გამოაცხადა, როდესაც სხვებმა, სხვათა შორის, ისიც დაასახელეს. ასე რომ არც ერთს რედაქციის წევრს გამგეობაში შესვლის სურვილი არა ჰქონია, ამომრჩევლებს არც ერთი არ გაუშავებია და ამის გამო არც ერთი არ ყოფილა ნაწყენი.

„ივერია" ამითი არ დაკმაყოფილდა და თავის მკითხველებს თავი იმგვარად დაანახვა, ვითომ შეურაცხყოფილი არის ჩვენის საქციელით (ე. ი. ვითომ ხმა ამოვიღეთ იმიტომ, რომ პირადად გულნატკენნი ვიყავით) და კეთილშობილურ წყრომასაც იჩენს: „კარგად გიცნობთ, ვინცა ბძანდებით, ზნეობის და სიმართლის მქადაგებელნი. თუ რასმეს გამოელით, გველივით აჰრელდებით, ათას ფრად კანს იცვლით. ხოლო თუ პირში ჩალა გამოგავლესთ და ან კოჰი ალჩუს არ დაგიჯდათ, სისინს მორთავთ ქვეყნის უმადურებაზედო".

ვსთქვათ, ჩვენ მართლაც გვქონდა სურვილი გამგეობაში შესვლისა. ვსთქვათ, მართლაც გაგვაშავეს და არ შეგვიშვეს გამგეობაში. ამ გაშავებით და დამარცხებით, რატომ უნდა „ავჭრელდეთ გველივით", რატომ უნდა გავყიდოთ ჩვენი სინიდისი, ათას ფრად კანი რად უნდა ვიცვალოთ? რა სახარბიელოა საქველმოქმედო დაწესებულების გამგეობაში ყოფნა? რას გამორჩება ამ გამგეობიდან ადამიანი? შრომის და შეწუხების მეტი, რა უნდა ჰპოვოს გამგეობის წევრმა?

ყველა ეს უნდა ესმოდეს „ივერიას", ისიც უნდა ესმოდეს მოხუც ქართულ ორგანოს, რომ სიცრუის თქმა არც მის ქაღარა თმებს შეჰფერის, არც გასაგონად არის სასიამოვნო.

ოცდა-ხუთი წლის გამოცდილებას უნდა ესწავლებინა „ივერიისათვის", რომ გარდა ვიწრო პირად ანგარიშებისა, გარდა სინიდისის სიჩლუნგისა და გრძნობათა დახშვისა არის სხვა ვრცელი განუსაზღვრელი აზრის, ჭეშმარიტების და სიმართლის სამეფო, რომ გაზეთის მოვალეობაა გამოიყვანოს მკითხველი პირადი ცხოვრების ფარგლიდან და არ ჩაჰკლას ადამიანში ყოველივე კეთილშობილი სულისმოძრაობა.

განა „ივერიის" ხანგრძლივმა გამოცდილებამ ახალ რედაქციას სხვა არა უანდერძა რა, გარდა ფუქსავატობისა, უპრინციპობისა და სხვისი გულში არა საკადრის პოლიციურ ჩახედვისა?! რას ჰფიქრობდა რედაქცია, როცა სწერდა ამგვარ სიტყვებს: „გახუნებულნო, მადა გაღვიძებულნო (!) რადიკალებო! რით ვერ გაიგეთ, წარვიდნენ დრონი, როცა თქვენს ცრუ-დემოკრატობას გასავალი ჰქონდაო". რა უნდა ეთქვა ამ სიტყვებით „ივერია"-ს? ის, რომ ქვეყნის შექმა გვინდოდა, სხვისის გაპირვებით გვესარგებლნა? თუ ის, რომ ქვეყანას ვატყუებდით, პირადი ანგარიში გვალაპარაკებდა? ეს უნდა ეთქვა, თუ კიდევ რამე სხვა?

რა ძნელია, როცა კაცს გზა-კვალი დაებნევა, ხან აქეთ ეცემა, ხან იქით; იქანცება და ილლება უმიზნო ხეტიალით. რა ძნელია, როცა კაცს გაცრუებულ იმედების სიმწარე ალაპარაკებს! ნუ თუ ეს არის ქართულ უძველეს გაზეთის ნაამაგარი და ნაყოფი?!

არჩილ ჯორჯაძე.

საზღვარ-გარედ

სენ-მარტინიკის კატასტროფა. გემ „სენჟერმენ"-ს მოუტანია საფრანგეთში სენ-პიე-

რის უკანასკნელი გაზეთები. გაზეთ „ტან"-ის სიტყვით აუღელვებლად შეუძლებელია ამ გაზეთების ფურცვლა. მათში მოთხრობილია პარტიათა ბრძოლა საპარლამენტო არჩევნების გამო და სხვა საზოგადო საქმეებიც.

როგორც სჩანს, ვოლკანს იმაზე ადრე დაუწყია მოქმედება, ვიდრე აქამდე იყო აღნიშნული. სენ-პიერის გაზეთებში სწერია, რომ 10 (23) აპრილს საღამოს $9^1/_4$ საათზე ს. პრეშერში გუგუნი ისმოდა მიწის ქვეშეთიდან. მეორე დღეს ტრუა-პონში მოსეირნეთ შეუნიშნავთ ვოლკანიდან ამომავალ ორთქლის ღრუბლები. 12 აპრილს მდ. ბლანშის ჭალაში გაჩენილა მაღალი კრატერი, რომელსაც დაუწყია აფეთქება და ფერფლის, ადუღებულ წყლისა და ქვების ამოსროლა. სენ-პიერის გაზეთ „ანტილ"-ის რედაქტორს დაუთვალიერებია ეს კრატერი და უნახავს, რომ კრატერის ახლო მდებარე ტბა ძლიერად მღელვარებდა. მაგრამ გაზეთ „ანტილ"-ის 17 აპრილის ნომერში იმედია გამოთქმული, რომ ასეთ საშიშ ნიშნებს დიდი უბედურება არ მოჰყვება. ამ საშინელმა უბედურებამაც ვერ გააჩერა ბოროტი ადამიანი, მითაც მოინდომა სარგებლობა: შეუდგა განადგურებულ სახლების ძარცვა-რბევას. სენ-პიერის ნანგრევებს ქვეშ დამარხულია დიდძალი სიმდიდრე. ვან-რომანდტის საბანკო სახლის წარმომადგენელი ვალონი მისულა სენ-პიერში და უნახავს, რომ მძარცველებს გაუტეხიათ ფულის შკაფი და რომ ბანკის ბილეთები დაბნეული იყო სხვა-და-სხვა ადგილას. თვითონ ვალონსაც დასხმიან თავს ავაზაკები და ძლივს გადურჩენია თავი მათგან პოლიციელების დახმარებით.

ლაფანის სააგენტოს კორესპონდენტს გაუვლია კუნძულ სენ-ვინცენტზე 24 კილომეტრი სულ გაუდაბნოებულ ადგილებში. მთელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კუნძულისა დაფარულია სქელის ფერფლით. ყანები და ყველა მცენარეულობა სრულებით მოსპობილია. ვულკან სუფრიერიდან გადმონადენ გადნობილ ნივთიერებას გადაუწვავს ს. ს. ვალიბუ და რიჩმონდი. თხუთმეტ საჟენის სიღრმე ხრამი, რომელშიაც პატარა მდინარე მიდიოდა, პირამდე ავსებულია ფერფლით. ს. ვალიბუს მეტი წილი ეხლა ზღვით არის დაფარული. ს. რაბაკა-კი, ვალიბუს, ახლო მდებარე მიწის ქვეშეთის ძალას მაღლა აუწევია და დაუნგრევია.

სენ-ვინცენტზე დაღუპულების რიცხვი ორიათასამდეა; მეტი წილი გახურებულ ქვიშასა და მეხს მოუკლავს. სენ-პიერში კი კვამლისა და ვოლკანის შხამიან ორთქლისაგან დაიღუპნენ.

დახოცილებს მარხავენ იქ, სადაც პოულობენ—გზის გასწვრივ, ყანებში, გორაკებზე.

ქ. ქ. კინგსტონსა და ჯორჯტოუნში 5000 ტიტველა უსახლკარო კაცი დაძრწის; ესენი განადგურებულ ადგილებიდან გამოქცეულები არიან. გვატემალაზე ოცი დღით ადრე მომხდარა საშინელი მიწის ძვრა, რომელსაც რამდენიმე ქალაქი დაუნგრევია, სხვათა შორის ქ. კვეზალტენანგი, რომელშიაც 25.000 სული მცხოვრები იყო. დაღუპულების რიცხვი ჯერ დანამდვილებით არ იციან, მაგრამ იგი ერთობ დიდი უნდა იყოს. ამტკიცებენ, რომ ამ მიწის ძვრას პირდაპირი კავშირი აქვს მარტინიკის და სენ-ვინცენტის კატასტროფასთანა.

ეხლა იგონებენ ჰუმბოლდტის წინასწარმეტყველებას—ანტილის კუნძულები დაიღუპება მიწისქვეშეთის ცეცხლის საშინელ ძალთა მოქმედებითო, და ჰკითხულობენ, ეხლა ხომ არ სრულდება ეს წინასწარმეტყველებაო.

ინგლისი. „რუსკია ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი ახასიათებს ინგლისის პოლიტიკურ პარტიების ეხლანდელ მდგომარეობას და აი რას ამბობს: სამინისტროს პარტია აჭრელებულია სხვა და-სხვა ელემენტებისაგან, რომელნიც ისეთ რამეს სთხოვენ მთავრობას, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელია, რაც უნდა მოწადინებული იყოს სამინისტრო. პურზე ბაჟის შემოღება პროტექციონისტების გამარჯვება იყო, მაგრამ კამათის დროს არც ერთ მათგანს სიტყვა არ უთქვამს—ეშინოდათ გაეძლიერებიათ ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელსაც პროტექციონისმი ახდენს ამომრჩევლებზე. ამ მხრივ უფრო საინტერესოა კიდევ ინგლისის მუშათა კავშირების (ტრედ-უნიონი) მიერ გამოწვეული კამათი. როგორც ვიცით: სასამართლომ და ლორდთა პალატამ შემოიღო კანონი, რომელიც დიდ სიფრთხეს უმზადებს მუშების ორგანიზაციას. ამ კანონით, კავშირი თავის კაპიტალით პასუხს აგებს თვის წევრების მოქმედების გამო, მაგალითად, თუ გაფიცული მუშა აგონებს თვის ამხანაგს მანაც მიიღოს მონაწილეობა გაფიცვაში. ასეთის კანონის საშუალებით კაპიტალისტებს განზრახვა აქვთ სრულებით დაანგრიონ ტრედ-უნიონები. ამ მოკლე ხანში უნდა გაირჩეს რკინის გზის სამართველოსა და რკინის გზის მუშების ერთი საქმე—სამმართველო უჩივის მუშების კავშირს 70 ათას გირვანქა სტერლინგს იმ ზარალისათვის, რომელიც რკინის გზამ ნახა მუშების გაფიცვის გამო. სამინისტროს პარტიაში ბევრია მომხრე ლორდებისა და სასამართლოს მიერ შემოღებულ კანონისა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ისინი გაბედვით შეუდგნენ მუშების წინააღმდეგ პოლიტიკას და განახორციელონ იგი. როცა დემოკრატებმა მოითხოვეს ახალ კანონის გამოცემა მუშების ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, მთავრობის უმრავლესობას, როგორც მოყვანილი გვქონდა, სულ 29 ხმა შეადგენდა, იმდენად დიდია შიში შეგნებულ ამომრჩეველისა.

ახალშენებთან არსებული დამოკიდებულებაც ვერ არის ისეთი, როგორც ეს ჩემბერლენსა და იმპერიალისტებს სურთ. ესენი ამტკიცებენ, რომ ახალშენები მზად არიან შეადგინონ მეტროპოლიასთან მჭიდრო კავშირი ბრიტანიის იმპერიის ინტერესების დასაცველად, და რომ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ჯარისა და ფლოტის ხარჯებში. ეხლა კანადა კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი არ დაადგება „თავის მოკვლის" პოლიტიკას და არ ჩავარდება „მილიტარისმის მორევში, რომელიც ეხლა ინგლისს ატრიალებს". ამავე აზრისაა ავსტრალიის ყველა ახალშენები, ახალ ზელანდიის გარდა.

კანადის პარლამენტში ჩარლტონმა (იმპერიალისტად ითვლება) შემდეგი რეზოლიუცია შეიტანა: მშვიდობიანობისა და იმპერიის ჰარმონიის გულისათვის ეთხოვოს ინგლისის მთავრობას გამოიჩინოს უმაღლესი სულგრძელება კეთილშობილ მტრისადმი. ბურები საუკეთესო ეთნიური ელემენტია სამხრეთ აფრიკაში და მთავრობა მოვალეა გაიმეგობროს ასეთი გმირებიო. კანადის პრემიერი ვოლფრიდ ლორიე სრულებით დაეთანხმა ჩარლტონს და, სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ არ ვამბობთ უარს კანადის პარლამენტის უფლებაზე შეატყობინოს იმპერიის მთავრობას თვისი შეხედულება. საქმეში გარევის უფლება ჩვენი ექვს გარეშეა... ოცის წლის წინით კანადის პარლამენტმა მიიღო რეზოლიუცია ირლანდიის ჰომრულის სასარგებლოდ. რათ გვეინტერესება ასე მისი მდგომარეობა? იმიტომ რომ ჩვენი პარლამენტი ვერ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ სადმე იმპერიაში დაჩაგვრა არსებობდეს".

მთავრობის უკეთეს მდგომარეობაში არც ოპოზიციაა. ბევრს სცდილობენ ისევ თანხმობა ჩამოაგდონ ლიბერალურ დასის სხვა-და-სხვა ლიგებ შორის, მაგრამ არა გამოდის-რა.

ერთად-ერთი პარტია, რომელსაც მტკიცე ერთობა აქვს და რომელმაც კარგად იცის, თუ რა სურს, ირლანდიელების პარტიაა.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 14 მაისს, **მათ უდიდებულესობათა კვირგვინის კურთხევის დღეს**, ტფილისის ალექსანდრე-ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსმა ალექსიმ გორის ეპისკოპოსის ბენიამინესა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით გარდაიხადა წირვა და შემდეგ პარაკლისი. წირვასა და პარაკლისს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მთავარ-მართებლის თანაშემწე ა. ა. ფრეზე, გენერლობა, ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი მალიშევსკი, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენ.-მაიორი საგინაშვილი, ტფ. ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა სხვა-და სხვა მოხელენი, უცხო სახელმწიფოთა ტფილისში მყოფი კონსულები და დიდძალი საზოგადოება. წირვის შემდეგ არსენალის მთიდან გაისროლეს ზარბაზნები. ქალაქი დღით მორთული იყო ბაირაღებით, ხოლო საღამოს გაჩირაღდნებული.

◆ „მოსკოვ. ვედომ." დაბეჭდილია: „245 რუსის გლეხი, რომელნიც კახეთში დაასახლეს, სულ ამოწყდა საშინელი ციებცხელების გამო (მალარია). როგორც ბატ. სეროვი იტყობინება, ერთის ზაფხულის განმავლობაში დაიხოცა სამოცი კაცი, დანარჩენები უძრავად იწვნენ, და მინდვრიდან ქირნახულის შემოტანაზე ვიღა იფიქრებდა".

◆ ქალაქის საბჭოს **ხმოსნების ამომრჩეველთა** უკანასკნელ სიებს, რომელიც ქალაქის გამგეობამ შეადგინა, ტფილისის გუბერნატორი განსახილველად წარუდგენს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს, რომლის სხდომაც ამ კვირაში უნდა მოხდეს.

◆ პირველ საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა კომიტეტმა წარსულ კვირაში დაასრულა **ხმოსანთა კანდიდატების** სიის განხილვა; მის დაბეჭდვას უკვე შეუდგნენ და ამ დღეებში დაურიგებენ ამომრჩევლებს, რომელთაც გადაწყვეტილის ნიშნებით უნდა აღნიშნონ თავიანთი სურვილი ამა თუ იმ კანდიდატის ხმოსნად ამორჩევის შესახებ.

◆ პარასკევს, 17 მაისს, საღამოთი, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე სხდომა ექმნება მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა კომიტეტს, რომელმაც 12 მაისის კერძო კრების გარდაწყვეტილების თანახმად ხელმეორედ უნდა გადათვალიეროს ხმოსანთა კანდიდატების სია. კომიტეტი, სიის განხილვის გარდა, აღნიშნავს დღეს, როდესაც ხელ-ახლავ მოწვეულ იქნება მესამე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლების კრება.

◆ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს **თავ. დ. ზ. მელიქიშვილს** პეტერბურგიდან ტფილისში მომავალ კვირაში მოელიან.

◆ „კავკაზ"-ში ვკითხულობთ: „აპრილის გასულს დაიწყო **რევიზია გურია-სამეგრელოს** ეპარქიის საეკლესიო სკოლებისა. რევიზიას ახდენდა საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო სკოლების ეპარქიის ოლქის ზედამხედველი დეკანოზი ვოსტორგოვი. ეს პირველი რევიზიაა ეპარქიის სკოლებისა უმაღლესის საეკლესიო მთავრობისაგან. ეპარქიაში ითვლება სულ 205 საეკლესიო სკოლა, რომელთაგან 10 მაისამდის მოახდინეს რევიზია 25 სკოლაში: მათში ორი მეორე კლასის სკოლაა, სამი ორკლასიანი, თერთმეტი ერთ კლასიანი და ცხრა წერა-კითხვის სკოლა.

რევიზიის დროს განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული მაზედ, თუ როგორ არის დაყენებული რუსული ენის და სამღვთო წერილის სწავლების საქმე. როგორც რევიზორისაგან კერძო ცნობებით გამოთქმულის აზრიდანა სჩანს, ის კმაყოფილი დარჩენილა სკოლების მდგომარეობით. მეტადრე მოსწონებია რუსული ენის სწავლის საქმის დაყენება ხსენებულ სკოლებში. იმასაც კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია რევიზორზე, რომ უმეტეს ნაწილს საეკლესიო სკოლებისას თავის საკუთარი სადგომები აქვთ და მიწები. პროფესიონალურ განყოფილებათაც მიუქცევიათ თავისზე ჯეროვანი ყურადღება. ყველაზე არა სასურველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ყველა მეორე კლასის სკოლები, რომელთაც სხვა-და სხვა მიზეზების გამო დღევანდლამდე საკუთარი შენობა არა აქვთ".

◆ მიწის ძვრისაგან დაზარალებულ **შემახელთა** და მთელი მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ ოთხ მაისამდის ბაქოს გუბერნატორს მოსვლია შემოწირულებანი 238,467 მან. 83 კ.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, კავკასიის გამოფენის უმთავრესმა საექსპერტო კომისიამ გადასწყვიტა უმაღლეს **ჯილდოზე** იქმნენ წარდგენილნი ტყავეულობისა და ნაბდების ქარხნის სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენელი გ. გ. ალიხანოვი და კონიაკისა, სპირტისა და სხვა სასმელების ქარხნის პატრონი დ. ზ. სარაჯიშვილი. აღნიშნულ პირთა სამრეწველო მოღვაწეობის დასახასიათებლად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საბჭოს მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ტყავის ქარხანაში ყოველ წლივ მუშაობს 332 კაცი, რომელთა ჯამაგირზე იხარჯება 60,911 მანეთი, ხოლო ამ მუშების მთელი ნაწარმოები ყოველ-წლივ უდრის 743,543 მანეთს; ნაბდის ქარხანაში 209 მუშაა; ამათგან ყოველ-წლობით მზადდება 513,572 მან. საქონელი; 209 მუშას წლიური გასამრჯელო ეძლევა 40,085 მან; ტანისამოსის დამმზადებელ ფაბრიკაში მუშაობს 566 კაცი, რომელნიც ყოველ წლივ ამზადებენ 411058 მანეთის საქონელს, ხოლო გასამრჯელოდ ღებულობენ 130,326 მანეთს; აღნიშნულ ფაბრიკაში ტანისამოსის მმზადებელი ხელოსანია სულ 404 კაცი, რომელთაც ჯამაგირად ეძლევათ 35,559 მ. ყოველ წლობით ამხანაგობის ქარხანა ხარჯავს მატყლეულობას, ტყავს და სხვა მასალას სულ 800,000 მანეთისას. სულ ადელხანოვის ქარხანაში 1500 მუშაა, რომელთა ყოველ წლიური ნაწარმოები 2 მილიონ მანეთს უდრის. დავ. ზ. სარაჯიშვილის სასმელების საკეთებელ ტფილისის ქარხნისა და სხვა-და-სხვა ადგილების განყოფილებებში მუშაობს ყოველ-წლობით 571 მუშა და სპეციალისტი, რომელთაც ყოველ-წლიურ ჯამაგირად ეძლევათ 100,000 მანეთი; აღნიშნულ მუშების ყოველ-წლიური ნაწარმოები უდრის 2 მილიონ მანეთს, სულ 10 წლის განმავლობაში სარაჯიშვილის ქარხანას დაუმზადებია სხვა-და-სხვა სასმელები 18,500,000 მანეთისა.

◆ ხვალ, 16 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექმნება ქალაქის **სასწავლებელთა გამგე-კომისიას** რამდენიმე მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ დღეს, 15 მაისს, დილის 10 სათზედ, ქალაქის გამგეობის წევრთა, ქალაქის თავის მოადგილეს და მოწვეულთა თანადასწრებით აკურთხებენ ქალაქის გამგეობისაგან ახლად მოწყობილ ხორცით სავაჭრო **საქალაქო დუქანს** პუშკინის ბაღის პირდაპირ, თამამშევის ქარვასლაში.

◆ „ნოვ. ობოზრ."-ის სიტყვით, ამ ზაფხულს განზრახვა აქვთ ართვინში დააარსონ **მომრიგებელი სასამართლო**.

◆ მიმდინარე წლის პირველ იანვრამდის სახელმწიფო და საერობო **დარჩენილი გარდასახადი** უძრავ ქონებაზე ქალაქ ტფილისში ყოფილა 214,577 მან. 6 კაპ., პოლიციას გარდაუხდევინებია 75,670 მან. 69 კაპ., დარჩა გადასახდელი პირველ მაისამდე 138,906 მან. 37 კაპ.

◆ დღეს, 15 მაისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე სიღნაღის მოქალაქის მიხეილ ყაზაროვისა, რომელსაც ავაზაკობა და სხვისი ფულების სთუალბით მითვისება და გაფლანგვა ბრალდება. საქმის გარჩევის დროს სასამართლოში გამოსაკითხავად დაბარებულია 30 მოწმე.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებ მიხეილ ქანიას მოუსურვებია ხუთმანათიანი ყალბი ფულების შეძენა სოფელში გასავრცელებლად. ქანიას თვისი განზრახვა გაუნდვია პოლიციის მე 9 ნაწილში მცხოვრებ ილია ზაზანიასათვის, რომელსაც ქანია წაუყვანია თავის ორ ამხანაგთან ერთად ერთს დუქანში; იქ ქანიას, მისივე სიტყვით, ტატო ბროძელისა და დათიკო ხატიაშვილისათვის გარდაუცია 550 მან. იმ პირობით, რომ მათ ქანიასათვის მოემზადებიათ სხვა-და-სხვა ღირსების ქაღალდის ფული 1000 მანეთზე მეტი. ბროძელსა და ხატიაშვილს რაღაც ფერადი ქაღალდები ჩაულაგებიათ აბგაში, გადაუციათ მიხეილ ქანიასათვის და უთქვამთ—„წაიღე ეს და სანამ ჩვენ თითონ არ მოვიდეთ თქვენს სახლში, მოგვიცადეთო". ამის შემდეგ ისინი წასულან, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულან და აღარც ქანიასაგან მიღებული 550 მან. დაუბრუნებიათ. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ ეს დანაშაულობა აღნიშნულ პირთ ჩაუდენიათ პოლიციის მე-9 ნაწილში მიხეილის ქუჩაზე. კარგა ხნის ძიების შემდეგ პოლიციას ზაზანია და ბროძელი დაუპატიმრებია; გამოძიება სწარმოებს.

◆ 13 საისს, პოლიციის პირველ ნაწილის სამმართველოში გამოცხადებულა ოლგას ქუჩაზე მცხოვრები ლუკერია კონცურენკოსა და განუცხადებია, რომ მისმა 15 წლის ქალმა მარინე სობოლევისამ ერთი ჭიქა კარბოლის სიმჟავე დალია. სობოლევისა მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ 13 მაისს, ნაშუადღევს 1 საათზე, პოლიციის მე-9 ნაწილის სამმართველოში პოლიციელებს მიუყვანიათ ქუთაისის მაზრის, სოფელ ჯიხაიშის, მცხოვრები გლეხი ერმილე მამუკას ძე გვანცელაძე, რომელსაც ღრმა ჭრილობა ჰქონია ხანჯლით გულის ფიცრის მარჯვენა მხარეს. პოლიციის გამოძიებით, გვანცელაძე დაუჭრია ჩხუბის დროს შუაბაზარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქნის პატრონს ილიკო ცაგარეიშვილს, რომლის დასაჭერად პოლიციამ უკვე ღონის ძიება მიიღო. დაჭრილი გვანცელაძე მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ 9 მაისს, ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში სალიტერატურო და სამუსიკო დილა იყო გამართული გამოჩენილი რუსის მწერლის ჟუკოვსკის ხსენების პატივსაცემლად. სალიტერატურო-სამუსიკო დილის პროგრამა კარგად იყო შედგენილი და საზოგადოებაც, რომელიც მიწვეული იყო სასწავლებლის მმართველობის მიერ, მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა.

∽ ქართულ სიმღერების მოყვარულთ შეუდგენიათ ქალებისა-და ვაჟებისაგან გუნდი და აპირობენ ამ თვეში ქართული კონცერტი გამართონ, რომლის შემოსავალი დანიშნულია სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ამ კონცერტს აქაური საზოგადოება მოუთმენლად ელოდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, კარგი შემოსავალიც ექნება.

∽ 12 მაისს, წმ. ნინოს ქუთ. სასწავლებლის მე 6 კლასის შეგირდები სასწავლებლის უფროსმა და მასწავლებელმა ქალებმა გელათის მონასტრის დასათვალიერებლად წაიყვანეს.

ამავე დღეს სხვა საქალებო სასწავლებლიდანაც წაიყვანეს შეგირდები მონასტრის დასათვალიერებლად გელათში დი მოწამეთაში.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

სულ წვრილმანმა საქმემ საშინელი აურზაური გამოიწვია: მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს წინედადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის მეეტლეთა ნიხრი დააწესოს ბატანიკურ ბაღამდე, რადგან დაბახანის ხიდი მზად ყოფილა და ამ მხრისაკენ მიმოსვლა ეხლა გახშირდა. საქმე მეტად მარტივია, მაგრამ იგი მეტად გართულდა ორის გარემოებით: ა) თურმე საბჭოს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს საზოგადოდ ეტლების საქმე, დიდი ხანია (ორ წელიწადზე მეტი) შეუმუშავებია ვრცელი მოხსენება თავის საგნის შესახებ და გამგეობას აქამდე არ წარმოუდგენია იგი საბჭოსათვის; ბ) ბოტანიკურ ბაღისაკენ წასვლა-წამოსვლის ნიხრი შეუმუშავებია არა შეერთებულ სხდომას გამგეობისას და ხსენებულ კომისიისას, როგორც ეს უწყებაში იყო ნათქვამი, არამედ გამგეობას და იმ კომისიის ერთ წევრს. ჩვენს „საქმიან“ საბჭოს შემთხვევა მიეცა პირში სცემოდა არა ნაკლებ „საქმიან“ გამგეობას: როგორ თუ ამდენი ხანი კომისიის დაბეჭდილი მოხსენება არ წარმოგვიდგინეთ და როგორ გაბედეთ „კონსტიტუციის“ დარღვევა—კომისიის ყველა წევრები არ მოიწვიეთო. განსაკუთრებით ცხარობდა მოუსვენარი არშაკი, რომელსაც თავის გაცხარებაში სრულებით დაავიწყდა, რომ ეხლანდელ საბჭოს დაცვა მხოლოდ ორივე თვალით ბრმას შეუძლია: როცა თ. ჩერქეზიშვილმა საბუთიანად და სამართლიანად სთქვა—საქმეების შემაფერხებელი საბჭოა და არა გამგეობაო, ბაბოვი გაცხარდა და არა „პარლამენტალური“ სიტყვები იხმარა, რამაც აღუშფოთებელი თავადიც კი გამოიყვანა მოთმინებიდან და შესაფერივე პასუხი ათქმევინა. თავმჯდომარე, რომელიც ისედაც მოკლებულია კრების ხელმძღვანელის ნიჭს, ცხარე ინციდენტმა სრულ მოუხერხებლობაში ჩააგდო და აღარ იცოდა, რა ექნა. მაგრამ ამ დროს გაისმა კ. ალიხანოვის „ვლასტნი ღოლოსი“ და ყველა დამშვიდდა: გამგეობისა და საგანგებო კომისიის შეერთებული სხდომა არ ყოფილა, გამგეობამ ფორმა დაარღვია, შეასრულოს ფორმა და ისე წარმოგვიდგინოს ბოტანიკურ ბაღისაკენ მიმოსვლის ნიხრიო და ყველა დაეთანხმა.

ამ „დიდ“ საქმეს ჩვენმა თავიანმა „მამებმა“ მოანდომეს სრული ერთი საათი და 10 წუთი და რა საკვირველია, რომ ამის შემდეგ მხოლოდ ერთი კითხვა და „განიხილეს“: თითქმის უკამათოდ მიიღეს საგანგებო კომისიისაგან შემუშავებული განსვენებულ ზუბალაშვილის მომავალ თავშესაფარის წესდება. დანარჩენი თოთხმეტი საქმე შემდეგ სხდომისათვის გადასდეს და არც საკვირველია—ხუმრობა ხომ არ არის, თერთმეტი საათი სრულდებოდა.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ეხლანდელი საბჭოს დაცვა, მის საქმიანობის მტკიცება მარტო ორივე თვალით ბრმას შეუძლია, არშაკ ბაბოვი კი ჩვენ ამისთანად არ მიგვაჩნდა. ეხლანდელი გამგეობის დაცვაც ძნელი საკისრია, მაგრამ იგი ხომ საბჭოს არჩეულია. თ. ჩერქეზიშვილი სრულ ჭეშმარიტებას ამბობდა, რომ საქმე თუ ფერხდება, ისევ საბჭოს მიზეზითო. ეს ისეთი თვალსაჩინო ფაქტია ყველასათვის, რომ ამას დამტკიცებაც არ ესაჭიროება.

ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის „კოლხიდის“ წევრთა კრება

6 მაისს კრებას პირველად მოხსენდა წარსული წლის ამხანაგობის მოქმედების ანგარიში, საიდანაც შემდეგი სჩანს: ამხანაგობას ჰყოლია 38 წევრი; ძირითადი თანხა ჰქონია 500 მან.; საოპერაციო წელს 23,000 მანეთი დაუტრიალებია. წმინდა მოგება დარჩენია 2,600 მ.; სხვა და სხვა ხარჯის დაფარვის შემდეგ ამხანაგობის წევრთ ერგებოდათ დივიდენდათ თითოს 1 მ. 60 კაპ.; მაგრამ დამსწრე წევრებმა ამ ფულის მიღებაზე უარი განაცხადეს და ერთხმად გადასწყვიტეს ეს ფული მიემატოს სათადარიგო თანხას. ანგარიში კრებამ დაამტკიცა. ამის შემდეგ ამხანაგობის თავჯდომარემ ს. დ. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მას აღარ შეუძლია ამხანაგობას ემსახუროს და ითხოვა სამაგიერო კაცი მოეძებნათ. მაშინ გამგეობის დანარჩენ წევრებმაც განაცხადეს, რომ უკეთუ ბ. ჯაფარიძე არ დარჩა ამხანაგობაში თავჯდომარედ, არც ისინი დარჩებიან. ამ გარემოებამ დამსწრეთა შორის დიდი კამათი და უთანხმოება გამოიწვია; ბ. ჯაფარიძე ვერას გზით ვერ დაითანხმეს და კრება გადაიდო 11 მაისისათვის. 11 მაისს კრება გაიხსნა საღამოს 8 საათზე. თავჯდომარედ აირჩიეს ექიმი დ. ა. ნაზაროვი. კრებას ამ საღამოს უნდა აერჩია ამხანაგობის თავმჯდომარე ს. ჯაფარიძის მაგიერ და გამგეობის ორი წევრი თ. კობეშავიძისა და პ. თუმანიშვილის მაგიერ. თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ სანამ გამგეობის თავმჯდომარის და წევრების არჩევას შეუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ შემდეგ საგანზეო:

გამგეობის ზოგიერთ მოხელეთ მითხრესო, რომ ამხანაგობის სალაროში ფული არ მოიძებნება და როგორ შეიძლებოთ წლის მოქმედების განგრძობას, არ ვიცითო. თუ ეს მართალი არის, საჭირო არის ჯერ გამოვიკვლიოთ, თუ რა საშუალებით ვაპირობთ მოქმედების განგრძობას და შემდეგ შეუდგეთ არჩევნებსაო.

ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია დამსწრეთა შორის. ბევრმა ის აზრი გამოსთქვა, მივმართოთ კერძო პირებს, გვასესხონ ფული და დამზადებული პარკი იმათ მივყიდოთ იმ ფასებში, რა მაზანდაც პარკს ექნებაო. ზოგმა სთქვა, მოვსძებნოთ ისეთი კაცი, რომელმაც ჩვენი ამხანაგობის პაები შეიძინოს ბლომათო; ზოგმაც ის აზრი გამოსთქვა, ვიკისროთ პაების გაყიდვა და ამნაირად შეკროვილ ფულით დავიწყოთ მოქმედებაო; როდესაც საქონელს ვიყიდით, მერე შეგვიძლია საკრედიტო დაწესებულებებს მივმართოთ და საქონლის დაგირავებით ფული ვისესხოთო. ბოლოს ილაპარაკა თავ. კ. ბ. ღორთქიფანიძემ და კრებას მიუთითა იმ წყაროებზე, საიდანაც ამხანაგობას შეუძლია ფულის შოვნა. უმთავრესი ამათგანი არის სახელმწიფო ბანკი; შეიძლებაო, ბანკის მმართველობამ ეჭვის თვალით შეხედოს ჩვენს ამხანაგობას და შეუოუმანდეს ფულის სესხებაზეო, რადგანაც ჩვენი ამხანაგობა ახალი არის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისეთი საპატიო კაცები ვიშოვოთ, რომლებიც დახმარებას აღმოგვიჩენენ ბანკის მმართველობის წინაშე და ფულს ვიშოვითო; მეორე: ჩვენ შეგვიძლია ვექსილებზე ხელი მოუწეროთ გამგეობას, ფულები საკრედიტო დაწესებულებიდან ისესხოსო და ამნაირად დაიწყოს თავის მოქმედებაო; მერე, როცა საქონელს იყიდის, თვითონ შეუძლიან საქონლის გირავნობით ფულები იშოვოსო. წრევანდელი ჩვენი მდგომარეობა შარშანდელს ბევრად სჯობიაო, შარშან არც პარკის საშრობი გვქონდა, არცა რა სხვა რამე, და საქმე არ შეგვიწყვეტია და წრეულს რამ დაგვაშინა აგრე, მე ვერ წარმომიდგენიაო.

როგორც იქნა, კ. ბ. ღორთქიფანიძის აზრი მიიღეს და კრებამ დაადგინა განაგრძოს თავისი მოქმედება და ფულები ისესხონ სხვა და-სხვა საკრედიტო დაწესებულებებიდან. ამასთანავე დაადგინეს ამხანაგობა შეუკავშირდეს კუხის 1-ლ მებრეშუმეთა ამხანაგობას და ურთ-ერთ დახმარებით ხელი შეუწყონ ერთმანეთს და არ ჰკაუწიონ მეტოქეობა პარკის ყიდვა-გაყიდვაში, როგორც ეს წარსულ წლებში ხდებოდა.

ბოლოს შეუდგნენ გამგეობის თავმჯდომარის არჩევას. ს. ჯაფარიძეს სთხოვეს, მაგრამ მან კვლავ უარი განაცხადა.

დიდი კამათისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ ამხანაგობის თავმჯდომარეობა იკისრა ი. ქუთათელაძემ; თ. კობეშავიძისა და პ. თუმანიშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე უარი სთქვეს, კრებამ წევრებად აირჩია ო. სვანიძე დ. ვ. პურადოვი;

მათ კანდიდატებად აირჩიეს დავით ღუღაძე და ი. გვიცარიძე. ბოლოს ამხანაგობის წევრებს დაეკისრა ათ-ათი პაის გაყიდვა.

წერილი მესამე ილორის საზოგადოებიდან

(მევენახობის გავრცელების საჭიროება.—სწავლა განათლება.—მომრიგებელი სასამართლოს დაარსება.—ქურდ-ბაცაცები.)

ჩვენს საზოგადოებაში ჯერ არავის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ სცადონ მაინც და შეუდგნენ ვაზის გამობრუნებასა და ვენახის ხელახლავ გაშენებას. ჩვენში, სადაც 800-ზედ მეტი კომლი მცხოვრები ირიცხება, არც ის იციან, შეიძლება თუ არა ხელი მიჰყონ მევენახეობას, მიწის ნიადაგი ხელს უწყობს თუ არა ჩვენს საზოგადოებას, მეურნეობის ამ ყოვლად სასარგებლო დარგის მოშენების საქმეში?..

სხვა ჯიშის ვაზი ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვება, გარდა ეგრედ წოდებულის „ადესისა“, რომლის ღვინოც მეტად მდარეა და უფრო მავნებელიც ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ხოლო შემთხვევით ვისმეს ორიოდე ძირი ჩვენებური ვაზი თუ აქვს ამერიკულ ვაზზედ დამყნილი, ბეჯითად მოუვლელობის მიზეზით ერთობ გაფუჭებულია. და თუ ვინმემ ცნობის მოყვარეობით ჰკითხა პატრონს, „როგორ იხეირა შენმა ვენახმაო“. ისიც სწრაფად მოუჭრის: „არა, ძმაო, ჩვენს მამულებში ვენახი ვერ ხეირობსო“.

სწავლა-განათლების მხრივაც ჩვენი საზოგადოება დიდად ჩამორჩა უკან თავის მეზობლებს. ერთად ერთი სამრევლო სკოლა, რომელიც არსებობს 6—7 წელიწადია, ბავშვების რიცხვის მეათედ ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს. არსებობის დღიდან თორმეტამდე მასწავლებელი გამოიცვალა ამ სკოლამ; ვერ მოასწრებს კაცი ახალის მასწავლებლის სახელისა და გვარის შეტყობას, რომ ეუბნებიან—მასწავლებელი თავს ანებებს სკოლასაო. ამის გამო მცხოვრებნიც ნაკლებ ენდობიან. ამბობენ: „მასწავლებლები აღარ გვიცდიან და რაღაც უცნაური სენი უნდა სჭირდეს ჩვენს სკოლასაო“. მართლა და რომელი გაჩერდება, როდესაც ოთხი და ხუთი თვის განმავლობაში თავის მეტად მცირე ჯამაგირსაც ვერ ღებულობს. წელს კიდევ დაგვინიშნეს ახალი მასწავლებელი, ბ. ღუღუნავა და ამბობენ, რომ ამიერიდან გაუმჯობესდება ამ უიღბლო სასწავლებლის ბედ-ბედიო. ღმერთმა ჰქნას!...

როგორც გავიგეთ სარწმუნო წყაროებიდან, დ. სამტრედიაში განზრახულია ამ ზაფხულსვე დაარსონ მომრიგებელი სასამართლო. ამის სასრულეში მოყვანას სიხარულით ეგებებიან ყველა გარემომო სოფლების მცხოვრებნი. ამით ადგილობრივი მცხოვრებნი განთავისუფლდებიან დ. ხონში მუდმივ ძნელ მგზავრობიდან და ისედაც თხელ ჯიბეებს ჩვენსას ცოტა არ იყოს შეღავათი მიეცემა. აგრეთვე დიდი შეღავათი მოგვეცემა ჩვენც, მესამე ილორის საზოგადოების მცხოვრებლებსაც, თუ გვეღირსა, როგორც ნათხოვარიც გვაქვს, რომ საზოგადოება მოაშორონ სენაკის მაზრას, და მიგვაწერონ ქუთაისის მაზრას. დაბა სამტრედია ქუთაისის მაზრის ნაწილს შეადგენს და ჩვენის საზოგადოების სოფლებიც: საჭილაო, სანავარდო, ნაჩხიტოური, ნაფადოური და სხვა, სულ ორი ვერსტის მანძილზე არიან სამტრედიაზე.

ჩვენს საზოგადოებ ში კვლავ აპირებენ გაიხსენონ ქურდ-ბაცაცებმა თავიანთი „საქმენი საგმირონი“. წარსულ აპრილის თვეში ერთს ისედაც საწყალ გლეხს ს. საჭილაოში ბ. დ—ს მოჰპარეს ერთი ხარი და ერთი ძროხა; სადოდავს მეტი არა გააჩნდა-რა. ბევრი ეძება და დღესაც დაეძებს, მაგრამ ვერაფერი გაუგია მოპარულ საქონლის ასავალ-დასავლისა. ამ მოკლე დროში კიდევ ერთი უღელი ხარი მოჰპარეს ამავე სოფელში ი. ჯ—ძეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა, როგორც იყო იპოვა.

საყურადღებო პროგრამა

(დასასრული *)

40. არის თუ არა აღნიშნულ რაიონში ტყე და ვის საკუთრებას შეადგენს—ხაზინისა, საზოგადოებისა თუ კერძო პირებისას და რა პირობებითაა ტყით სარგებლობის საქმე ადგილობრივ მცხოვრებთათვის? როგორი წესი არსებობს სახაზინო თუ კერძო პირთა ტყეების დაცვისათვის? ხელოვნურად აშენებენ თუ არა ტყეს? რა ზომებს ღებულობენ ბუნებრივად ტყეების გასაახლებლად?

41. რა მრეწველობას მისდევენ მცხოვრებნი და რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს მათთვის ამ მრეწველობას?

42. გლეხთა სახლობანი მისდევენ თუ არა შინად—მრეწველობას? სახელდობრ, რა ნაწარმოები მზადდება? წლის განმავლობაში მწარმოებელნი რომელ დროს უფრო მაცადინობენ საოჯახო მრეწველობის საქმეში? როგორი სახლობანი (ცოტა მამულის მეპატრონენი, ღარიბნი, შეძლებულნი) განსაკუთრებით უფრო მისდევენ საოჯახო მრეწველობას? აღწერეთ დაწვრილებით ტეხნიკა და ეკონომიური პირობანი საოჯახო ნაწარმოებთა და შემოსავლიანობა საოჯახო მრეწველობათა. ფერხდება თუ უფრო წარმატებაში მიდის საოჯახო მრეწველობა? პირველ შემთხვევაში, რა მიზეზი შეფერხება—დაცემისა?

43. სასოფლო მეურნეობის რომელ ნაწარმოებს უფრო ჰყიდიან მწარმოებელნი? სად არის ადგილი ნაწარმოებთა გასაახლებლად და რა მანძილზეა ბაზარი იმ რაიონის შუა ადგილიდან, რომელსაც ეს ცნობები შეეხება?

44. როგორია გზები მიმოსვლისათვის; უკანასკნელს დროს დაიწყეს თუ არა მუშაობა გზების გასაუმჯობესებლად და რამდენად მიაღწიეს მიზანს?

45. ვინ არიან მსყიდველნი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა? საზოგადოდ როგორ ხდება გასაღება ნაწარმოებისა? სცდილობენ თუ არა ვაჭრები (სახელდობრ როგორ) ხელოვნურად ნაწარმოებზე ფასების დაკლებას და როგორ აღწევენ მიზანს? წლის რომელ დროს უფრო ნაკლებია ფასია სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებზე? ხმარობენ თუ არა მწარმოებელნი რაიმე საშუალებას, რომ შესუსტებული იქმნეს მოულოდნელად მათის მხრით გადამეტებული მოთხოვნანი?

46. არსებობენ თუ არა სოფლის მეურნეთა ამხანაგობანი, რომელთაც საგნად ჰქონდეთ საამხანაგოდ სხვა-და-სხვა ნაწარმოებთა გასაღება და რა მოჰყვა შედეგად მათს მოქმედებას?

47. რამდენად ესაჭიროებათ მცხოვრებთ კრედიტი და როგორ იკმაყოფილებენ მოთხოვნილებას? წლის განმავლობაში რომელ დროს უფრო ესაჭიროებათ კრედიტი? ვისგან იღებენ სოფლის მცხოვრებნი ფულებს ვალად. თავიანთ მეზობლებისა თუ გარეშე კაცთაგან? რა საქმის კაცია კრედიტორი (ვაჭარი, მედუქნე თუ მემამულე?)

48. რამდენად არის დავალიანებული გლეხთა ადგილ-მამული?

49. გლეხთა მიწები რამდენად უფრო დავალიანებულია სხვა წოდებათა მიწებზე?

50. არსებობენ თუ არა შემნახველ-გამსესხებელი კასები ან ბანკები და რამდენად ნაყოფიერად მოქმედებენ?

51. არიან თუ არა ისეთი პირნი, რომელნიც მხოლოდ ფულის სარგებლით გაცემით სცხოვრობენ? თუ არიან ასეთი პირნი ვინ არიან, ისინი (წოდება ან საქმე) და რამდენად დიდია ხოლმე მათ მიერ აღებული სარგებელი? რომელი სარგებელი უფრო პატარაა და რომელი უფრო დიდი? იხდის ვინმე თუ არა სარგებელს მუშაობით და რამდენად დიდია ეს მუშაობა სარგებელთან შედარებით? კრედიტის რაოდენობა დამოკიდებულია თუ არა მოვალეს შეძლებისაგან (кредитоспособность)? დროს გასვლის შემდეგ ვალი ახლდება თუ არა ახალს ვადამდე და რამდენად მატულობს ამ დროს ვალის ჯამი?

52. არის თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ ფულს ასესხებენ ხოლმე მეურველს იმ პირობით, რომ მან ვალი გარდაიხადოს მეურნეობის ნაწარმოებით და არა ისევ ფულით? რა ნაწარმოებს უფრო ხშირად იგირავებენ გამსესხებელნი? ღებულობენ თუ არა გლეხები ფულს პურისა და ღვინის გაჭრებისაგან მომავალ მოსავლის იმედით? ამ შემთხვევაში რა ფასად ეძლევა გაჭრებს მეურნეობის ნაწარმოები?

53. რამდენად გავრცელებულია მევახშეობა და რა სახით მოქმედებს იგი. რა მიზეზია მევახშეობის გაძლიერებისა? უმთავრესად ვინ უფრო მევახშეობს? რა საშუალებას ხმარობენ მევახშე-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1808

ნი, რომ თვისი მოვალენი მუდმივ ეკონომიურად დამოკიდებულებაში იყოლიონ ან და ხელში ჩაიგდონ მათი მეურნეობა? სწერენ თუ არა სავალდებულო საბუთებში (ვექსილებში) ნამდვილს ვალს ერთი-ორად? ახდევინებენ მოვალეებს ვექსილებში [illegible] ნულს ვალს და თუ ახდევინებენ, როგორ ახდევინებენ ამას?.

54. გადადიან თუ არა სოფლის მემამულეთა ადგილები მევახშეთა ანუ კრედიტორების საკუთრებად და რამდენადაა გავრცელებული ასეთი მოვლენა?

55. რამდენად დიდია გარდასახადები, როგორ აწერენ ხალხს და აგრეთვე რა ხარჯს ეწევიან მცხოვრებნი სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათათვის? რა უხერხულობანი არსებობენ გადასახადის გაწერისა ან აკრეფის საქმეში?

56. რა და რა ბეგარას იხდის ხალხი და რამდენს? ვარდება თუ არა ხალხი გაჭირვებაში და უხერხულ მდგომარეობაში იმ დროს, როცა იწვევენ ბეგარის მოსახდელად!

57. რა და რა საშუალებანია საჭირო და სასურველი სასოფლო მეურნეობის წარმოების და სოფლის მეურნეთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

უცხოეთის წვრილი ამბები

ალფონს მეცამეტე ესპანიის მეფე. ახალგაზდა მეფის ტახტზე ასვლის გამო ამ დღეებში (მეფე ალფონსი ამ ჟამად თექვსმეტი წლისაა), გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ იმის შესახებ. სხვათა შორის ერთს ინგლისურს ჟურნალს რამდენიმე ანეკდოტი მოჰყავს ნორჩი მეფის ბავშვობიდან.

ერთ საღამოს, როდესაც ხუთი წლის მეფე ზღვის პირას ქვიშაზე თამაშობდა, დედოფლის (დედის) ამალის ერთი ქალთაგანი მივიდა და უთხრა: „თქვენი უდიდებულესობის ძილის დროა“. მეფემ გათხუპნულის ფუნჩულა ხელებით თვალები მოისრისა და ამოუშვა ღრიალი, რომელიც მეფეს სულ არ შეეფერებოდა. ამ დროს დედოფალი — მმართველი (მეფის დედა) ახლო — მახლო დასეირნობდა და თან მარკიზა ბუენო ახლდა. შვილის ტირილი რომ გაიგონა, დედოფალი მიუბრუნდა მარკიზას: „ერთი უყურეთ, ღვთის გულისათვის! ვის გაუგონია, რომ მეფემ როდისმე იტიროს“! მეფემ თავის პაწაწა ხელები უცბად მოიშორა თვალებიდან და აწითლებულის სახით გაბრუნებულმა ჰკითხა დედას: „მაშ განა მეფეები თავის დღეში არა სტირიან“?

— არასოდეს! — უპასუხა დედამ.

— სამაგიეროდ ისინი რომ უბძანებენ ხოლმე, ეს ხომ მართალია?

დედოფალმა, ცოტა არ იყოს, გაუფრთხილებლად უპასუხა: „ჰო“.

— მაშ თუ ეგრეა და, მე ვბრძანებ, ამ მეფემ განაგრძოს თავისი თამაშობა“, — უპასუხა ალფონს მეცამეტემ, დედას ზურგი შეუქცია და განაგრძო თამაშობა.

ბავშვობიდანვე ესმოდა თავის მნიშვნელობა. ერთხელ, როდესაც ის და იმისი დედა ერთი მონასტერის კიბეზე ჩამოდიოდენ, სამლოცველოდან გამოვიდა ახალგაზდა მონაზონი, რომელიც წინად დედოფლის ფრეილინა იყო, და მუხლი მოიდრიკა, რომ დედოფლისათვის ხელზე ეკოცნა. ამ დროს უცბად პატარა, ვარდის ფერი ხელი გაუშვირა პაწია მეფემ და უთხრა ნაწყენის ხმით: „დაო, მე ხომ აქა ვარ“! ქალი მიხვდა, რასაც ეუბნებოდა პატარა მეფე, და ღირსეული პატივი სცა.

როცა ალფონსი სამი წლისა იყო, ძალიან ავად გახდა. ერთხელ მაღლა ხმით დაიწყო ტირილი და ახალ კვერცხს თხოულობდა, მაგრამ ექიმებმა უარი უთხრეს ამაში. „ერთი კვირა მოიცადე, ჩვენო ძვირფასო, — ამშვიდებდენ იმას, - ქათმები ჯერ კიდევ არა სდებენ კვერცხებს“. მაშინ პატარა მეფე მიუბრუნდა ერთს გამზრდელთაგანს: „თუ ღმერთი გწამთ, ქათმებს უთხარით, რომ მისი უდიდებულესობა სთხოვს, ეხლავე დაიწყონ კვერცხის დება“.

ინგლისელმა ქალმა იუზმა, რომელიც დედოფლის შვილების აღმზრდელია, ისე აჩვენა თავი ბავშვებს რომ, გარდა სიყვარულისა, ერიდებოდენ კიდეც აღზრდილები. ერთხელ მეფემ კიბე შეჰკრა და ხმა მაღლა დაიძახა: „მეფის ბრძანებით‘ არავის არა აქვს ნება, ამ კიბეზე ჩავიდეს“. სწორედ ამ დროს გამოვიდა ქ-ნი იუზი ქალაქში წასასვლელად მომზადებული, და მეფემ გზა გადაუღობა იმას თავისი ხისხმლით. მაშინ ინგლისელმა ქალმა მტკიცედ უთხრა „გზა მომეცით, გავიარო, ხელმწიფეო, მე არ შემიძლიან, ერთი წუთიც არის დავკარგო“. მეფემ ხმაზე შეატყო, რომ ქალი უკმაყოფილოა, თვალებით ანიშნა და თავაზიანად უთხრა: „ნუ ჯავრობ, ძვირფასო ლეტტა, ჩემი ბძანება შეეხება მხოლოდ მოსამსახურეებს და ბავშვებს (თავის დებს), ხოლო თქვენ არ შეგეხებათ“, მეფემ გზა მისცა ინგლისელ ქალს და სამხედრო პატივიც — „ჩესტით“ გამოეთხოვა.

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 მაისი

ჩისტოპოლი. ჭვავის ფასმა დაიკლო ფუთზე ექვსი კაპ. თან-და-თან უფრო ბევრი მოაქვთ.

ვარშავა. დამტკიცდა ახალი წესები თვალის საექიმო ინსტიტუტის სწრაფის რაზმებისა, რომელნიც იგზავნებიან სხვა-და-სხვა კუთხეებში პირველ მაისიდან პირველს ოქტომბრამდე თვალით ავადმყოფთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ვარშავა. დღეს პრინც ალბრეხტ პრუსიელს ბერლინში მალოროსიის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია წარუდგა.

ლონდონი. გაზეთ „ტაიმს“-ს ატყობინებენ პეკინიდან: ბელგია მზად არის უარი სთქვას თავის მოთხოვნაზე სარკინის-გზო შეთანხმების შესახებ ინგლისსა და ჩინეთს შორის, უკეთუ ჩინეთი დაუთმობს ბელგიას ადგილს ხანკოუში.

პარიზი. პარიზის და პროვინციების მცხოვრებნი აპირებდნენ, ბაირაღებით მორთოთ და გაეჩირაღდნებინათ ქუჩები პრეზიდენტის დაბრუნების დღეს, მაგრამ პრეზიდენტმა დეპეშით განუცხადა მტკიცე სურვილი, რომ ეს არ ჩაედინათ ნიშნად ნაციონალურის გლოვისა, მარტინიკაზე მომხდარ უბედურების გამო.

14 მაისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარი: „პალესტინის წმინდა ადგილებისათვის შემოწირულების მოკრეფის უფლება, გარდა იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენლისა რუსეთში (მოსკოვი, არბატი), აქვს პალესტინის საზოგადოებას და მის წევრებს. — გენერალ ტურბინს მიეცა ინფანტერიის გენერლობა და დაინიშნა ფინლანდიის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწედ. პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი საკუთარი თხოვნით სამსახურს დაეთხოვა. — „პრავ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება სენატორისადმი იმ პირების პასუხის გების შესახებ, რომელნიც პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში და სოფლის იმ საზოგადოებათ, რომელნიც ხელს უწყობდნენ არეულობის გაძლიერებას პოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში. ნაბრძანებია, რომ ხაზინიდან 800.000 მანეთი მიეცეს კონსტანტინოგრადის, პოლტავის, ვალკოვის და ბოგოდუხოვსკის მაზრების დაზარალებულ მემამულეთ, მიენდოს ზარალის აღნუსხვა საგანგებო კომისიებს და დაედოს სოფლის ნახსენებ საზოგადოებათ დამატებითი გადასახადი, რომლის მოკრეფა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ამ წლის მეორენახევრისა.

ბერლინი. პრინც ალბრეხტმა სადილი გაუმართა დრაგუნის პოლკის დეპუტაციას: სადილზე მიწვეული იყვნენ გრაფი ოსტენ-საკენი, ვრანგელი, შებეკო და ბევრი გენერლები.

ბრიუსელი. პალატაში არჩევნების დროს კათოლიკებმა ორი ადგილი მოიგეს.

კოპენჰაგენი. სანამ „კასინი“ ნავსადგურიდან გავიდოდა, ლუბემ შემდეგის სიტყვებით მიმართა მეფეს: „ვსვამ თქვენის დიდებულების სადღეგრძელოს, გმადლობთ წრფელის მიღებისათვის; მისი მოგონება ღრმად ჩამებეჭდება გულში. ვსვამ მთელ სამეფო სახლის სადღეგრძელოს, გაუმარჯოს დანიას, ისტორიით, კეთილშობილებით და ბრწყინვალებით დიდებულს, რომელთანაც საფრანგეთს აერთებს ძველი და ღრმა სიმპატია“.

ცეტინიე. საზღვარზე შეტაკება მოხდა ჩერნოგორიელ მწყემსებსა და ალბანელებ შორის. რამდენიმე კაცი მოკლული და დაჭრილია.

ნეაპოლი. მეფე-დედოფალი რომ პალერმოსაკენ გამართნენ, მატარებელს ორი ქვა ესროლეს. დამნაშავე დატუსადებულია. ხალხმა აღტაცებული ოვაცია გაუკეთა მათ უდიდებულესობათ.

ლონდონი. ხვალისათვის მოწვეულია მინისტრების რჩევა მთავრობის დეპეშაზე პრეტორიიდან მოსულ პასუხის განსახილველად.

ტობოლსკი. ტურინის მაზრაში სახადის ეპიდემია არის გავრცელებული. ექიმი დენარდინო ავად გახდა და მოკვდა.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ.“-ის 105 და 106 ნომრებში დაბეჭდილია ინსტრუქცია იმისა, თუ როგორ უნდა ახდევინონ ნავთ-სადგურებში სხვა-და-სხვა გადასახადი.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 10 მაისს

გექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში . . .	94,20	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,65	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$	მყიდვ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . .	$98^7/_8$	მყიდვ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. .	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა.	$94^1/_4$	მყიდვ.
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	360	
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287	გაყიდ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც. . . .	$89^5/_8$	„
$4^1/_2$% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	85	„
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	163	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი — ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი — დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო — ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო — დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით) — დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო — დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო — საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი — დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო — დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო — საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით) — დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო — დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო — დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან —№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი — ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო — საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო — დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 წ. (4 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ — დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—10-მდე და საღამოს 5—6 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24.
ტელეფონი № 642.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან ხელით ნახატებიდან.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კონტორა
უმორჩილესადა სთხოვს ამხანაგობის წევრთ, გამოუგზავნონ კონტორას თავიანთი ადრესები მდგომარე მაისის ოც-და-შვიდამდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . .	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო .	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე . .	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა .	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში .	—	15
დვინის დაუნება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. . . .	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ზიზ
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.
ტელეფონი № 754. (წ.).

მაღაზია
ნ. ა. საშაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა
ქ. ქუთაისში
გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ **ქუთაისის და ქუთაისის ახლო-მახლო სოფლების საზოგადოებას**, რომ ჩვენს მაღაზიაში გვაქვს მუდამ მრავალ-გვარი **ფარფორის და ფაიანსის საქონელი** სხვა-და-სხვა ხრუსტალის და შუშეულების ნაწარმოები, ვარშავისა და საზღვარ-გარეთელი ლამპები. საზღვარ-გარეთელი რკინეული საელემენტო ჭურჭლეულობა უმაღლესი ხარისხისა. სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები და ყოველ-გვარი საოჯახო კუთვნილებანი. მელხიორის და ბრიჯაოს ნაწარმოებნი. ვენის გალუნული ბამბუკის სახლის ავეჯეულება. ინგლისური და ვარშავის კრაოტები და მატრაცები. სხვა-და-სხვა კედლის და სატუალეტო სარკეები. კლიონკები და ლინოლეუმები პოლისთვის. რუსული და საღვარ-გარეთელი გიტარები, სკრიპკები და სტრუნები ყოველ-გვარი. საეკკლესიო კუთვნილებანი.

ყველაფერი ისყიდება **ზომიერ ფასად და უჭაჭროდ.** (45—18)

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.